



**SBA**

საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA

შინაგანაწესი

თბილისი  
2018 წელი

## თავი 1. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. შესავალი და ტერმინთა განმარტებები

1. „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA“ (შემდგომში „აკადემია“) ცნობს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე და უზრუნველყოფს საკუთარი პერსონალის წარმომადგენელთა და პროფესიულ სტუდენტთა ქცევის წესებისა და ეთიკური ნორმების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებასა და განვითარებას.
2. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის ტერმინი „სტუდენტი“- მოიცავს პროფესიულ სტუდენტს, სასერთიფიკატო პროგრამის მსმენელს, თავისუფალ მსმენელს და ნებისმიერ პირს, ვინც მიუხედავად სტატუსისა სარგებლობს აკადემიის საგანმანათლებლო მომსახურებით, ასევე პირს, რომელიც არაფორმალური განათლების აღიარების მოთხოვნით მიმართავს აკადემიას;
3. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის ტერმინი „პერსონალი“- მოიცავს პროფესიულ განათლების მასწავლებელს, მოწვეულ სპეციალისტს, პროგრამის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, ასევე პირს ვინც მიუხედავად სტატუსისა თანამშრომლობს აკადემიასთან;
4. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის ტერმინი „საშტატო პერსონალი“ - მოიცავს აკადემიის პერსონალს, ვისთანაც აკადემია თანამშრომლობს შრომითი ხელშეკრულებით;
5. აკადემია უფლებამოსილია პერსონალთან თანამშრომლობის მიზნებისათვის გააფორმოს შრომითი ხელკრულება და მომსახურების ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულება ფორმდება აკადემიის საშტატო პერსონალთან.
6. დაწესებულების პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან დაწესებულების შინაგანაწესი (შემდგომში „შინაგანაწესი“), რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დაწესებულების მიერ განათლების ძირითადი მიზნების ეფექტიანად განხორციელებას, საზოგადოების წინაშე მაღალი ნდობისა და ავტორიტეტის განმტკიცებას და პრესტიჟის შემდგომ ამაღლებას.

### მუხლი 2. დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. დაწესებულების პერსონალი, რომელიც ემსახურება დაწესებულების მისიის განხორციელებას, თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს კეთილსინდისიერების, პატიოსნებისა და ეთიკის მაღალი სტანდარტების შესაბამისად. იგი ვალდებულია თავისი პროფესიული და თანამდებობრივი მოვალეობებიდან გამომდინარე დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა) სამართლიანად და პატივისცემით მოეპყროს კოლეგებს, პატივი სცეს თანამშრომლებსა და სტუდენტებს, მათ პროფესიულ/თანამდებობრივ და სხვა საქმიანობას, ხელი შეუწყონ ერთმანეთს საქმიანობასა და პროფესიული განვითარების საქმეში, არ დაუშვას კოლეგისა და სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცყოფა, დამცირება, ცილის წამება ან ანონიმურად დადანაშაულება;

ბ) დაუშვებელია პერსონალისა და სტუდენტთა მხრიდან ყოველგვარი დისკრიმინაცია, მათ შორის: რასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური, თუ

ეთნიკური კუთვნილების ან/დაშეხედულების, სქესის, ასაკის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

გ) პერსონალის წარმომადგენლებმა არ უნდა გამოიყენონ თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი პირადი გამორჩენის მიზნით, არ უნდა მოითხოვონ კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც მათ კოლეგებსა თუ სტუდენტებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;

დ) პერსონალის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა თავი უნდა შეიკავონ დაწესებულების ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას.

## თავი 2. დაწესებულების პერსონალთან შრომითი ურთიერთობების ზოგადი ნორმები

### მუხლი 3. სამუშაოს შესრულება

1. პერსონალი ვალდებულია საკუთარი ფუნქციები შეასრულოს პირადად.
2. პერსონალი ვალდებულია თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, სათანადო გულისყურითა და სიფრთხილით შეასრულოს თავისი მოვალეობები, რაც განსაზღვრულია სამუშაოს აღწერილობით, ხელშეკრულებით ან სხვა მარეგულირებელი აქტით;
3. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
4. პერსონალს უფლება აქვს შეთავსებით შეასრულოს სხვა სამუშაო, თუ ეს ხელს არ უშლის სამუშაოს აღწერილობით განსაზღვრული ძირითადი სამუშაოს შესრულებას.
5. აკადემიას უფლება აქვს შეზღუდოს პერსონალის უფლება, შეასრულოს სხვა სამუშაო, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას ან/და თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, აკადემიის კონკურენტია.
6. აკადემიას უფლება აქვს, პერსონალისათვის შეტყობინებით დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომლებიც არ ცვლის ხელშეკრულების არსებით პირობებს.
7. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რომელიმე არსებით პირობას, ასეთი პირობის განსაზღვრა შესაძლებელია პერსონალის თანხმობით.
8. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს პერსონალის თანხმობას.

### მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. პერსონალს უფლება აქვს:
  - ა) მოსთხოვოს აკადემიას შრომითი ხელშეკრულების, მომსახურების ხელშეკრულების, შინაგანაწესის და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;
  - ბ) ისარგებლოს საქართველოში დაწესებული უქმე დღეებით.

- გ) დროებითი შრომისუნარობის შემთხვევაში მოითხოვოს შრომითი ურთიერთობების შეჩერება. ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა დასაბუთდეს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით.
- დ) უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ასეთ შემთხვევაში იგი აღნიშნულ გარემოებათა თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს აკადემიას.
- ე) მოითხოვოს მისი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საინფორმაციო რესურსები და ინვენტარი.
- ვ) თანაბარი კვალიფიკაციისას ისარგებლოს უპირატესობით სამუშაო დატვირთვის განაწილებისას, მოწვეულ სპეციალისტებთან შედარებით;
- ზ) მოითხოვოს დამატებითი ანაზღაურება დამატებითი დატვირთვის შემთხვევაში.

## 2. პერსონალი ვალდებულია:

- ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;
- ბ) დაიცვას შრომითი ხელშეკრულება და შინაგანაწესი;
- გ) წერილობით შეატყობინოს აკადემიას მის პირად მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ასეთი ცვლილებებიდან ერთი კვირის განმავლობაში;
- დ) აკადემიის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ინფორმაცია ადრინდელი საქმიანობის შესახებ და შეუფერხებლად წარუდგინოს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული მონაცემები;
- ე) მოწესრიგებულ მდგომარეობაში გამოცხადდეს სამუშაოზე. მისი ჩაცმულობა უნდა შეესაბამებოდეს აკადემიურ გარემოს. იზრუნოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ორგანიზაციის პრესტიჟის დაცვასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.
- ვ) უზრუნველყოს ყველა საბუთის, მიმოწერის შენახვა დადგენილი წესით;
- ზ) არ გათქვას კონფიდენციალური ან საავტორო უფლებებით დაცული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაც შესაძლოა გახდეს მასთან ხელშეკრულების შეწყვეტის და ფინანსური კომპენსაციის დაკისრების საფუძველი;
- თ) პერსონალი პირადად და სრულად აგებს პასუხს ნებისმიერი ზიანის და/ან დანაკარგისათვის, რომელიც მიადგება აკადემიას, მის მიერ დაწესებულების ქონების არამიზნობრივად გამოყენების შედეგად ან დაუდევრობით.
- ი) შრომითი ურთიერთობების შეჩერების ან შეწყვეტის შემდეგ დააბრუნოს დაწესებულების კუთვნილი წიგნები, სასწავლო მასალები და სხვა მატერიალური ფასეულობები, აკადემიის პასუხისმგებელ პირს გადასცეს კომპიუტერულ ტექნიკაზე ან პროგრამულ უზრუნველყოფაზე მის მიერ დადებული პაროლები, აგრეთვე სხვა სახის ინფორმაცია, რისმა გადაუცემლობამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სასწავლო და სამუშაო პროცესის ნორმალურ წარმართვას.

## 3. აკადემიას უფლება აქვს:

- ა) მოსთხოვოს პერსონალს ხელშეკრულების და შინაგანაწესის დაცვა;
- ბ) საკუთარი შეხედულებით, შრომის შედეგების მიხედვით მისცეს პერსონალს დანამატი, ჯილდო ან პრემია, ხოლო პერსონალის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე საკუთარი შეხედულებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად გამოიყენოს ჯარიმა,

რომლის ოდენობასაც აკადემია განსაზღვრავს კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ოდენობით.

გ) განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების, წესდების, შინაგანაწესის და სხვა მარეგულირებელი აქტების პირობების დაცვაზე.

#### 4. აკადემია ვალდებულია:

ა) გამოიყენოს პერსონალის შრომა დაწესებულების მიზნების შესასრულებლად;

ბ) გააცნოს პერსონალს შინაგანაწესი, შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემთხვევაში, გააცნოს აღნიშნული ცვლილებები;

გ) უზრუნველყოს პერსონალისათვის შრომის ნორმალური პირობების შექმნა დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებისათვის;

დ) უზრუნველყოს პერსონალის შრომის დროული ანაზღაურება;

ე) უზრუნველყოს პერსონალი ყოველწლიური კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით;

ვ) უზრუნველყოს საჭიროების შემთხვევაში, (სასწავლო პროცესის დროს და/ან სასწავლებლის ტერიტორიაზე) პერსონალის პირველადი აუცილებელი (სასწრაფო) სამედიცინო მომსახურების გაწევითვის ხელშეწყობა და დაფინანსება.

ზ) სამუშაო დატვირთვის განაწილებისას უპირატესობა მიანიჭოს საშტატო პერსონალს;

თ) აკადემიის ინიციატივით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისას მოახდინოს პერსონალთან საბოლოო ანგარიშსწორება.

### მუხლი 5. შრომის ანაზღაურება

1. შრომის ანაზღაურება პერსონალს ერიცხება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
2. ხელფასი მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, რომლის ანგარიშსწორებასაც ბიუჯეტთან პერსონალის ხელფასიდან ახდენს დამქირავებელი.
3. აკადემიის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს პერსონალს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.
4. პერსონალის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.
5. აკადემიას უფლება აქვს, პერსონალის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მისთვის პერსონალს აქვს გადასახდელი.
6. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

### მუხლი 6. ზეგანაკვეთური სამუშაო და მისი ანაზღაურება

1. პერსონალი ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ანაზღაურების გარეშე;

ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით.

*შენიშვნა: საწარმოო ავარია დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე ასევე გულისხმობს იმ გარემოებათა არსებობას, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას*

დაწესებულების ავტორიზაციას, პროგრამების აკრედიტაციას ან სხვა უფლებების განხორციელებას, რაც საჭიროებს მარეგულირებელი უწყებებისაგან ლიცენზირებას ან სპეციალური უფლებების მინიჭებას.

2. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს;

3. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება პერსონალთან შეთანხმებული მოდულ(ებ)ის განხორციელების მოცულობას;

4. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის 1.1-მაგი ოდენობით.

### **მუხლი 7. შვებულება**

1. აკადემიის საშტატო პერსონალს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში 24 სამუშაო დღით.

2. აკადემიის საშტატო პერსონალს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში 15 კალენდარული დღით.

3. აკადემიის საშტატო პერსონალს უფლება აქვს შვებულების დღეები გადაანაწილოს წლის განმავლობაში და მის გამოყენებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე განცხადებით მიმართოს აკადემიის დირექტორს შვებულების დღეებით სარგებლობის თაობაზე.

4. შვებულების დღეებით სარგებლობა არ უნდა აფერხებდეს აკადემიის სასწავლო და სამუშაო პროცესს, რისთვისაც პერსონალი ვალდებულია შეუთანხმდეს აკადემიის დირექტორს.

### **მუხლი 8. შრომითი ურთიერთობების შეჩერება**

1. შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

2. შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:

ა) გაფიცვა;

ბ) ლოკაუტი;

გ) აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლებების განხორციელება;

დ) საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამომიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება;

ე) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;

ვ) სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა;

ზ) შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო;

- თ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსება, რომლის დროსაც შეუძლებელი ხდება მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა წელიწადში;
  - ი) დროებითი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს;
  - კ) კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობაც წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს;
  - ლ) ანაზღაურების გარეშე შვებულება;
  - მ) ანაზღაურებადი შვებულება.
3. პერსონალის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით (გარდა „ბ“ ქვეპუნქტისა) გათვალისწინებული საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში აკადემია ვალდებულია შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს. შრომითი ურთიერთობა შეჩერებულად ჩაითვლება მოთხოვნის წარდგენიდან შეჩერების შესაბამისი საფუძვლის აღმოფხვრამდე.
4. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პერსონალს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება.

### **მუხლი 9. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა**

#### **1. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:**

- ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რაც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;
- ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;
- დ) პერსონალის მიერ თანამდებობის/სამუშაოს დატოვება საკუთარი ნებით წერილობითი განცხადების საფუძველზე;
- ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;
- ვ) პერსონალის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან;
- ზ) პერსონალის მიერ მასზე ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდის პერსონალთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას;
- თ) პერსონალის მიერ მასზე ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა, თუ პერსონალის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულია ინდივიდუალური ან კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;
- ი) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა - თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში აჭარბებს 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, პერსონალს გამოყენებული აქვს შვებულება;

- კ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
- ლ) სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ;
- მ) პერსონალის გარდაცვალება;
- ნ) აკადემიის, როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;
- ო) აკადემიისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა ან ამ სტატუსის დაკარგვა, იმ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის გაუქმება/კომპონენტის გაუქმება, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობდა ეს პერსონალი;
- პ) სხვა ობიექტური გარემოება, რაც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

2. პერსონალის ინიციატივით შეწყვეტისას პერსონალი ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს აკადემია წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.
3. პერსონალს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე აკადემიის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე.
4. აკადემია ვალდებულია პერსონალის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.
5. პერსონალს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს აკადემიის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

#### **მუხლი 10. კონფიდენციალობა**

1. დასაქმების პერიოდში და ამ პერიოდის დასრულების შემდეგ, სამუშაოს შეწყვეტის მიზეზის მიუხედავად, პერსონალი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს მისთვის შრომითი ხელშეკრულების ძალით ხელმისაწვდომი ინფორმაცია და უფლება არ აქვს გაანდოს ნებისმიერ მესამე პირს, ან ნებისმიერი გზით გამოიყენოს ეს ინფორმაცია თავის სასიკეთოდ, ან გახადოს იგი საჯარო.
2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის კონფიდენციალურ ინფორმაციად მიიჩნევა ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რის გავრცელებამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს დაწესებულების საქმიანობას, სახელს და რეპუტაციას, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამები და სხვა სახის სასწავლო-მეთოდური მასალები, იმ სახით რაც დაწესებულებამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად საჯარო გამოქვეყნებისათვის დაწესებულების ვებ-გვერდზე.

#### **მუხლი 11. შრომითი დავების გადაწყვეტა**

1. დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში. დავა წარმოიშობა მხარის მიერ მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით უთანხმოების შესახებ.



2. მხარეთა შორის შრომითი დავის წარმოქმნის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ აკადემიასა და პერსონალს შორის შემათანხმებელი პროცედურების გზით, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.
3. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღებული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.
4. დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას.

## **მუხლი 12. სპეციალური დებულებები**

შრომითი ხელშეკრულებით, მომსახურების ხელშეკრულებით ან/და სამუშაოს აღწერილობით შესაძლებელია დადგინდეს ამ თავით განსაზღვრული დებულებებისაგან განსხვავებული დებულებები და დაზუსტდეს შრომითი ურთიერთობების ცალკეული პირობები სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების/სამუშაო აღწერილობის დებულებებს გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა შინაგანაწესის დებულებებთან მიმართებაში.

### **თავი 3. ქცევის ნორმები და დისციპლინური საქმის წარმოება**

## **მუხლი 13. დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები**

1. პერსონალის წარმომადგენლები ვალდებული არიან სისტემატურად იღვწოდნენ პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად. ამასთან, პერსონალის წარმომადგენლებს ეკისრებათ მოვალეობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ დაწესებულების საზოგადოებრივ, თუ საორგანიზაციო საქმიანობაში. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნიდან გამომდინარე ისინი ვალდებული არიან:

- ა) სასწავლო პროცესი წარმართონ დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
- ბ) დარგის ან მეცნიერების შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და პროგრესის კვალდაკვალ, პერიოდულად განაახლონ მოდულის/კურსის თემატიკა და სტრუქტურა, სრულყოფნის მიზნით წარმართვის მეთოდოლოგია;
- გ) ლექციაზე, მეცადინეობაზე შევიდნენ დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული. არ დაუშვან ლექციის, მეცადინეობის დროზე ადრე დამთავრება ან გაცდენა სერიოზული საპატიო მიზეზისა და აკადემიის პასუხისმგებელ პირთან შეთანხმების გარეშე;
- დ) აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, ობიექტურად შეაფასონ ყველა სტუდენტის მიღწევები;
- ე) ხელი შეუწყონ გამჭვირვალე სასწავლო გარემოს ფორმირებას. შეიმუშაონ და დანერგონ სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რაც განაპირობებს სტუდენტების პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს;
- ვ) სტუდენტებს მიაწოდონ ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ;
- ზ) გამორიცხონ შეფასებაზე ზემოქმედების ფავორიტიზმის, პროტექციონიზმის, სხვა მსგავსი ფაქტორებით სტუდენტთა დისკრიმინაცია;

- თ) არ დაუშვან სტუდენტების, მათი ახლობლების შესაძლებლობათა გამოყენება პირადი სარგებლისა თუ გამორჩენის მიზნით;
- ი) გაუწიონ სტუდენტებს ინტელექტუალური და აკადემიური ხელმძღვანელობა.

#### **მუხლი 14. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი**

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოვალეობაა დაწესებულებაში შექმნას პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო. ამ მიზნით ისინი ვალდებული არიან:

- ა) დაემორჩილონ დაწესებულების მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედ კანონმდებლობას;
- ბ) ეფექტურად გამოიყენონ დაწესებულების ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;
- გ) არ გაამჟღავნონ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა.

#### **მუხლი 15. სტუდენტები**

სტუდენტის მოვალეობაა:

- ა) პატივი სცეს დაწესებულებას, სადაც იგი ცოდნას და უნარებს ეუფლება.
- ბ) ისწავლოს, მონაწილეობა მიიღოს ჩატარებულ კვლევებში.
- გ) დაიცვას შინაგანაწესი და დაწესებულებაში მოქმედი სხვა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნები.
- დ) ხელი შეუწყოს დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნები.

#### **მუხლის 16. სტუდენტის ჩაცმულობა და პირადი ჰიგიენის დაცვა**

1. სტუდენტები ვალდებული არიან დაწესებულების მისიიდან გამომდინარე ატარონ სასწავლო გარემოსათვის დამახასიათებელი სტილის ტანსაცმელი, რომელიც კონსერვატიულია და არ არის: ექსტრავაგანტული, ჭრელი და ზედმეტად მყვირალა ფერების, სტილისტურად შესაფერისი დისკოთეკის, სპორტდარბაზის, სანაპიროზე დასვენებისა და მსგავსი ვითარებისთვის.
2. ვაჟები ვალდებული არიან გამოცხადდნენ გაპარსული წვერით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ის არ წარმოადგენს მის პიროვნულ სტილს.
3. გოგონებისთვის დაუშვებელია ძალიან მოკლე ან/და გამჭვირვალე კაბა, მოკლე შარვალი, გამჭვირვალე, ზედმეტად დეკოლტირებული ზედა, ზონარიანი მაისური და ექსტრავაგანტული აქსესუარები.
4. უცხოელი სტუდენტებისათვის დასაშვებია ეროვნული და ტრადიციული სამოსის ტარება თუ მისი ფორმა და დიზაინი არ ეწინააღმდეგება აკადემიურ საზოგადოებაში დანერგილ ზოგად ნორმებს.

**მუხლი 17. დისციპლინური წარმოება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები**

1. დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს პერსონალისა და სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელის სახეებს, დისციპლინური დევნის დაწყების, დისციპლინური წარმოების განხორციელებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.
2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

**მუხლი 18. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები**

დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია:

- ა) მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;
- ბ) დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესით და სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
- გ) ნებისმიერი საქციელი/ქმედება, რომელიც შეიძლება ფორმალურად არ შეიცავს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს, მაგრამ იგი ეწინააღმდეგება ეთიკურ – ზნეობრივ ნორმათა მოთხოვნებს.

**მუხლი 19. დისციპლინური წარმოების ვადები**

1. პირს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური დარღვევის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია ორი (2) წელი, ხოლო დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – სამი (3) თვე.
2. დისციპლინური საბჭოს მიერ საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის ვადაა განცხადების/საჩივრის მიღებიდან ერთი (1) თვე, ხოლო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისა კი - დისციპლინური დევნის აღძვრიდან ერთი (1) თვე.
3. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქმის განხილვა შეჩერებული ან გადადებულია, არ ჩაითვლება დებულებით განსაზღვრულ საქმისწარმოების საერთო ვადაში.

**მუხლი 20. დისციპლინური სახდელის სახეები**

1. პერსონალის წარმომადგენლებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:
  - ა) შენიშვნა;
  - ბ) საყვედური;
  - გ) მატერიალური სახდელის შეფარდება;
  - დ) შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა.
2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის:
  - ა) შენიშვნა;
  - ბ) საყვედური;
  - გ) მატერიალური სახდელის შეფარდება;

დ) შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა.

3. სტუდენტებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- გ) მატერიალური სახდელის შეფარდება;
- დ) პრობაციის რეჟიმში გადაყვანა;
- ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

### **მუხლი 21. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოები**

1. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი დაწესებულებაში შინაგანაწესის შესრულება და დისციპლინის მონიტორინგი, ასევე დისციპლინური წარმოება ხორციელდება დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოების (შემდგომში „დისციპლინური საბჭო“) და სათანადო უფლებამოსილების მქონე დაწესებულების სხვა სამსახურების მიერ.
2. დისციპლინური საბჭო არის დაწესებულების ძირითადი სტრუქტურული ერთეულებიდან და სტუდენტური თვითმმართველობიდან/სტუდენტთა წარმომადგენელი გამოყოფილი რამდენიმე კაციანი ჯგუფი.
3. დისციპლინური დარღვევის სიმძიმიდან და შინაარსიდან გამომდინარე, დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ბისციპლინური საბჭოს შექმნის თაობაზე.
4. თუ დადგინდა, რომ პირდაპირ დაირღვა აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტებისა და შინაგანაწესის მოთხოვნები, დირექტორი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას, პირისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე.
5. დისციპლინური საბჭოს საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით დირექტორს შეუძლია დანიშნოს, მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალოს საბჭოს შემადგენლობა.
6. დისციპლინურ საბჭოს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:
  - ა) მიიღოს და შეისწავლოს შემოსული ინფორმაცია (განცხადება/საჩივარი);
  - ბ) შეამოწმოს დისციპლინური დევნის აღძვრისათვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები;
  - გ) განსაზღვროს, უნდა აღიმძას თუ არა დისციპლინური დევნა. ამისათვის დისციპლინურმა ორგანომ უნდა ჩამოართვას ახსნა-განმარტებები საჩივრის ავტორს და პირს, რომლის წინააღმდეგაც შემოსულია საჩივარი. დისციპლინურ ორგანოს შეუძლია გაესაუბროს მხარეს და მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება, დოკუმენტების და შესაბამისი მასალების წარდგენა. მან უნდა გაითვალისწინოს შემოსული შუამდგომლობები და დამატებითი ახსნა-განმარტები. ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში, ის გახდება დისციპლინური დევნის განხორციელების საფუძველი;
  - დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური დევნის) არაღძვრის შემთხვევაში, მომჩივანს დაუბრუნოს საჩივარი და დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ;
  - ე) განახორციელოს დისციპლინური დევნა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ვ) დისციპლინური დამრღვევისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილება აღსრულებისათვის წარუდგინოს დაწესებულების დირექტორს.

### **მუხლი 22. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი**

დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია დაწესებულების დირექტორის, სენატის, დაწესებულების ნებისმიერი სამსახურის წარმომადგენლის, პერსონალის, სტუდენტის, აგრეთვე იმ პირის მოტივირებული განცხადება/საჩივრის ან შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ პერსონალის წარმომადგენლის ან სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები.

### **მუხლი 23. განცხადება/საჩივრის განხილვა და წარმოებაში მიღება**

1. დისციპლინურმა საბჭომ საჩივრის ან განცხადების მიღებიდან ერთი (1) თვის განმავლობაში, უნდა შეისწავლოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება, არსებობს თუ არა დისციპლინური დევნის აღძვრის საკმარისი საფუძველი და გამოიტანოს გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის, ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2. არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, ან უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება თუ:

- ა) საჩივარი ან შეტყობინება არ აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობებს;
- ბ) საჩივარი ან შეტყობინება ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს;
- გ) ვადები დისციპლინური დევნის ან დისციპლინური სახდელის დაწესებისათვის ამოიწურა;
- დ) მოძიებული მასალები არ იძლევა საფუძველს დისციპლინური დევნის აღძვრისათვის;
- ე) შემოწმებული მასალები მიუთითებს, რომ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული;
- ვ) საჩივარი ან შეტყობინება შემოსულია პირზე, რომელიც ამჟამად აღარ არის დაწესებულების პერსონალის წარმომადგენელი ან სტუდენტი.
- ზ) თუ საჩივრის ან შეტყობინების ავტორი უარს იტყვის საჩივარზე, დისციპლინური კომისია უფლებამოსილია შეწყვიტოს ან გააგრძელოს დისციპლინური დევნა.

3. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი ორგანო საჩივარს ან განცხადებას უბრუნებს მომჩივანს და დაურთავს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ.

### **მუხლი 24. დისციპლინური წარმოების შეჩერება და გადადება**

1. დისციპლინური წარმოების შეჩერება შესაძლებელია, თუ საქმის შესწავლის დროს მოპოვებული მასალა ცხადჰყოფს, რომ პირს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, საქმე უნდა წარიმართოს სათანადო კომპეტენციის მქონე ორგანოში.

2. დისციპლინური წარმოების გადადება შესაძლებელია, თუ საჩივრის შესწავლის პერიოდში წარმოიშვა ობიექტური სირთულეები ან დაბრკოლებები (პირის ავადმყოფობა ან სხვა შემთხვევები), რაც შეუძლებელს ხდის საქმისწარმოების გაგრძელებას.

3. დისციპლინური დევნის შეჩერების ან გადადების მიზეზის აღმოფხვრის მომენტიდან საქმის განხილვა განახლდება.

### **მუხლი 25. განცხადების/საჩივრის განხილვის წესი**

1. დისციპლინურმა საბჭომ განცხადება/საჩივარი უნდა განიხილოს სამართლიანად და მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით.

2. დისციპლინური ორგანოს სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური.

3. დისციპლინური საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე ან მისი რომელიმე წევრი, რომელიც აირჩევა დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით.

4. საჭიროების შემთხვევაში, სხდომაში მონაწილეობის მისაღებად დისციპლინურმა საბჭომ უნდა მოიწვიოს მოწმეები და სხვა პირები, რომელთაც უნდა შეატყობინონ სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი.

5. დისციპლინური საბჭო ვალდებულია მოისმინოს დისციპლინური დამრღვევის ახსნა-განმარტება, რომელსაც უფლება აქვს დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. მხარეებს აქვთ უფლება სრულად წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, წარმოადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებანი, აღძრან შუამდგომლობები დამატებითი მასალების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, აგრეთვე ჩვენებების ჩამორთმევის მიზნით, მოითხოვონ სხვა პირების გამოცხადება და სხვა ამ მუხლით გაუთვალისწინებელი მოქმედებების განხორციელება.

6. დისციპლინურ საბჭოს უფლება აქვს, დაკითხოს მხარეები და სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირები, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები და ინფორმაცია, გამოიძახოს მოწმეები და განახორციელოს სხვა ქმედებები.

7. დისციპლინური საბჭოს სხდომაზე სხდომის მდივანი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

8. პირის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას დისციპლინური საბჭო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. შესაბამის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის გადაწყვეტილებას.

### **მუხლი 26. დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში**

1. დისციპლინურმა საბჭომ შეიძლება მოითხოვოს დისციპლინური დამრღვევის განხილვის სხდომაზე დასწრება.

2. თუ პირი არ ცხადდება განხილვის სხდომებზე, სხდომა უნდა გადაიდოს 10 დღით. თუ პირი მეორედ არ ცხადდება დანიშნულ სხდომაზე არასაკმატო მიზეზით, დისციპლინური საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე დისციპლინური დამრღვევის დასწრების გარეშე. აგრეთვე, სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დააკისროს დისციპლინური სახდელი.

3. თუ პირი ვერ ცხადდება განხილვის სხდომაზე მძიმე ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით, დისციპლინურმა საბჭომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა.

4. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
- ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
- გ) მიაწოდოს დისციპლინურ საბჭოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
- დ) მონაწილეობა მიიღოს დისციპლინური საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

5. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვილოს დისციპლინურმა საბჭომ.

6. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

### **მუხლი 27. დისციპლინური სახდელის დაკისრება**

1. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას დისციპლინური საბჭო ვალდებულია გაითვალისწინოს დარღვევის (დარღვევების) სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული (ან შესაძლო) ზიანი. ასევე დარღვევის განმეორებითი ხასიათი. პირის პასუხისმგებლობა იზრდება დისციპლინური გადაცდომის სიმძიმისა და ხარისხის პროპორციულად ან ნორმების განმეორებითი დარღვევისას. თუ პირის მიერ დადასტურდა დისციპლინური დარღვევა და მას ადრე დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა ამ დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად, დისციპლინურ ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ.

2. დაუშვებელია რამდენიმე სახდელის დაკისრება დარღვევისათვის, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება.

3. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ აუცილებლად უნდა იყოს დოკუმენტურად დასაბუთებული.

### **მუხლი 28. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილება**

გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

- ა) დისციპლინური ორგანოს დასახელებას;
- ბ) დისციპლინური ორგანოს შემადგენლობას;
- გ) საქმის განხილვის თარიღს;
- დ) დისციპლინური დამრღვევის სახელს, გვარს და თანამდებობას;

- ე) დისციპლინური დევნის დაწყების და დისციპლინური სახდელის დაკისრების თარიღს;
- ვ) დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებს;
- ზ) დისციპლინური დარღვევის არსსა და დისციპლინური დამრღვევის შეპასუხებას;
- თ) გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს;
- ი) დისციპლინური დარღვევის სახესა და დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახეს;
- კ) დისციპლინური წარმოების შეწყვეტის, საჩივრის ან შეტყობინების უარყოფის, ან დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველს.

### **მუხლი 29. შეტყობინება დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ**

1. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება დისციპლინურ დამრღვევს გადაწყვეტილების გამოტანიდან ხუთი (5) დღის განმავლობაში.
2. გადაწყვეტილების ასლი უნდა დაერთოს დისციპლინური დამრღვევის პირად საქმეს.

### **მუხლი 30. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება**

დისციპლინური დამრღვევი უფლებამოსილია გაასაჩივროს დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.

### **მუხლი 31. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება**

1. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებები ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე, ან გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე.
2. დაწესებულების დირექტორი, ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია აღასრულოს გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლიდან ერთი (1) თვის ვადაში.
3. პერსონალის წარმომადგენლების მიმართ დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება, დირექტორის ბრძანებით.
4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება დირექტორის ბრძანებით.

### **მუხლი 32. სახდელის მოქმედების ვადები**

1. სახდელები: შენიშვნა, საყვედური, პრობაცია მოქმედებს მხოლოდ გარკვეული ვადით, რომლის ამოწურვამდეც დისციპლინური დამრღვევი ითვლება დისციპლინურ სახდელშეფარდებულად.
2. თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი (3) თვის შემდეგ, საყვედური – ექვსი (6) თვის შემდეგ, პრობაცია – ერთი (1) წლის შემდეგ.



**თავი 4. სტუდენტის პრობაციის რეჟიმი****მუხლი 33. პრობაციის არსი**

1. სტუდენტთა პრობაცია წარმოადგენს სტუდენტისათვის დადგენილი განსაკუთრებული რეჟიმის დაწესებას, რომლის მიზანია დაბალი დისციპლინური ან აკადემური მოსწრების მქონე სტუდენტის მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება, საზოგადოებაში ქცევის წესებისადმი დამორჩილების უზრუნველყოფა ან/და სწავლის შედეგების გაუმჯობესება.
2. პრობაცია განიხილება, როგორც სტუდენტის სტატუსის დროებით (პირობით) შენარჩუნება.
3. სტუდენტის პრობაციის რეჟიმზე გადაყვანის საფუძვლები პრობაციის რეჟიმზე შესაძლოა გადაყვანილ იქნან სტუდენტები, რომლებიც:
  - ა) არაერთჯერადად არღვევენ წესდებას და სხვა მარეგულირებელი აქტებით დადგენილ ნორმებს;
  - ბ) პროგრამა სწავლის განმავლობაში გააცდინეს საკონტაქტო საათების 50% ან მეტი.
  - გ) სხვა შემთხვევა, რაც არ იწვევს პროფესიული სტატუსის შეწყვეტას;
4. სტუდენტის პრობაციის რეჟიმზე გადაყვანის შესახებ დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს;
5. ამ მუხლის მიზნებისათვის პროგრამაში იგულისხმება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასერთიფიკატო პროგრამა, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, ინდივიდუალური პროგრამა ან სხვა ნებისმიერი პროგრამა, რომელიც შედგენილია სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით;
6. პრობაციის რეჟიმის გამოყენების წესი
  - ა) პრობაციის რეჟიმზე მყოფი ყველა სტუდენტისათვის, მიუხედავად ამ რეჟიმზე გადაყვანის მიზეზებისა დადგენილია ერთიანი პირობები, რაც სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს;
  - ბ) პრობაციის რეჟიმში მყოფ სტუდენტზე სტიპენდია არ გაიცემა;
  - გ) პრობაციის რეჟიმზე სტუდენტის გადაყვანისას განისაზღვრება აგრეთვე ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი, პრობაციის კოორდინატორი, რომელიც ვალდებულია აკონტროლოს სტუდენტის მიერ პრობაციის რეჟიმის პირობების შესრულება.
  - დ) იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელი უარს განაცხადებს ამ სტუდენტის მიმართ პრობაციის კოორდინატორის მოვალეობების შესრულებაზე, სტუდენტს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი უპირობოდ, ხოლო თუ სტუდენტი უარს განაცხადებს მის მიმართ პრობაციის რეჟიმის გამოყენებაზე, შეუწყდება სტუდენტის სტატუსი უპირობოდ.
  - ე) პრობაციის კოორდინატორი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ დირექტორს წარუდგინოს ინფორმაცია და არსებობის შემთხვევაში მტკიცებულებები სტუდენტის მიერ პრობაციის რეჟიმის პირობების შესრულების შესახებ, ხოლო ამ პირობების დარღვევისთანავე დირექტორს წარუდგინოს შუამდგომლობა სტუდენტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;
  - ვ) პრობაციის რეჟიმის ვადის დასრულებისას პრობაციის კოორდინატორი დირექტორს წარუდგენს დასაბუთებულ შუამდგომლობას სტუდენტის მიმართ

პრობაციის რეჟიმის გამოყენების შეწყვეტის, პრობაციის რეჟიმზე ყოფნის ვადის გაგრძელების ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

#### 7. პრობაციის რეჟიმის პირობები

- ა) სტუდენტმა არასაპატიო მიზეზით არ უნდა გააცდინოს არცერთი საკონტაქტო საათი. გაცდენის ყველა შემთხვევა უნდა გადამოწმდეს მშობელთან.
- ბ) საპატიო გაცდენები ამ რეჟიმში მყოფი სტუდენტისათვის არ უნდა აღემატებოდეს საკონტაქტო საათების 30%-ს;
- გ) სტუდენტმა უნდა დაიცვას ამ წესის 34-ე მუხლით დადგენილი კონტროლის პირობები.

### მუხლი 34. პრობაციის პირობების კონტროლი

#### 1. პრობაციის პირობების კონტროლის მიზნით სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაწესებულებაში მოსვლის და დაწესებულებიდან წასვლისას გამოცხადდეს პრობაციის კოორდინატორთან და აცნობოს მას მოსვლის და წასვლის შესახებ;
- ბ) მოთხოვნის შემთხვევაში პრობაციის კოორდინატორს წარუდგინოს სალექციო ჩანაწერები, საშინაო დავალებები და სხვა სასწავლო მასალები;
- გ) შეასრულოს პრობაციის კოორდინატორის მიერ შეთავაზებული დამატებითი პირობები.

#### 2. პრობაციის კოორდინატორი

- ა) ვალდებულია აკონტროლოს სტუდენტის დაწესებულებაში მოსვლა და წასვლა;
- ბ) ვალდებულია სისტემატურად გაესაუბროს აკადემიის პერსონალს და მიიღოს ინფორმაცია სტუდენტის ქცევის, ლექციაზე აქტიურობის და აკადემიური მოსწრების შესახებ;
- გ) ვალდებულია გაეცნოს სტუდენტის პორტფოლიოს;
- დ) უფლებამოსილია დაესწროს ლექცია-სემინარებს და პირადად გადამოწმოს სტუდენტის მომზადების დონე;
- ე) უფლებამოსილია სტუდენტს დაუწესოს დამატებითი პირობები.

#### 3. პრობაციის რეჟიმის გამოყენების შეწყვეტა

- ა) პრობაციის რეჟიმის გამოყენება შეწყდება სტუდენტის მიერ ნებისმიერი დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში და მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი უპირობოდ, აღდგენის უფლების გარეშე;
- ბ) პრობაციის რეჟიმის გამოყენება შეწყდება ან პრობაციის ვადა შემცირდება დირექტორის ბრძანებით მაღლობის გამოცხადების შემთხვევაში და შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც წამახალისებელი ღონისძიება;
- გ) პრობაციის რეჟიმის გამოყენება შეწყდება, თუ სტუდენტს პრობაციის ვადაში შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

### თავი 5. პერსონალის ეთიკის ნორმები,

**დისციპლინური პასუხისმგებლობა და წახალისება****მუხლი 35. პერსონალის ეთიკის ნორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა**

1. შრომის დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის სახეებია:
  - ა) სტუდენტის მიღწევების არაობიექტური შეფასება;
  - ბ) სამსახურის არასაპატიო მიზეზით გაცდენა ან არაერთგზის დაგვიანება;
  - გ) დაწესებულების პერსონალისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლა;
  - დ) დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობა ან მის შესრულებაში სხვებისთვის ხელის შეშლა;
  - ე) დაწესებულების პერსონალისთვის შეურაცყოფის მიყენება;
  - ვ) დაწესებულებისათვის საჭირო ინფორმაციის, მათ შორის პირადი მონაცემების არასწორი მიწოდება;
  - ზ) სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტების (კალენდარული გეგმა, შეფასების ინსტრუმენტი, ანგარიში და სხვა) წარუდგენლობა დადგენილ ვადებში და მისი არაჯეროვანი შესრულება;
  - თ) ლექციაზე პოლიტიკური აგიტაცია;
  - ი) დაწესებულების თანამშრომელთა ან სტუდენტთა მიმართ ცილის წამება;
  - კ) დაწესებულების პრესტიჟის ხელყოფა;
  - ლ) სამუშაო საათებში ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა;
  - მ) საზოგადოებაში აღიარებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, მათი ჩადენის გარემოებები, გადაცდომის ჩამდენის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი, მუშაკის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა.
3. რეკომენდაციას, დაწესებულების პერსონალის მიერ შრომის დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის სიმძიმის შესახებ, დირექტორს წარუდგენს დისციპლინური საბჭო.

**მუხლი 36. პერსონალის წახალისების სახეები**

1. ადმინისტრაციის მიერ დაწესებულების თანამშრომელთა წახალისება ხდება მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისათვის, დაწესებულებაში ხანგრძლივი და სამაგალითო მუშაობისათვის.
2. წახალისების სახეებია:
  - ა) მადლობის გამოცხადება;
  - ბ) პრემიის გაცემა;
  - გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.
3. წახალისება ცხადდება დირექტორის ბრძანებით და შეიტანება შრომის წიგნაკში.

**თავი 6. ქცევის ნორმების დარღვევები და პასუხისმგებლობა****მუხლი 37. ზოგადი დებულებები**

1. შინაგანაწესით განსაზღვრული დარღვევებისათვის პირს დაეკისრება დისციპლინური სახდელი, თუ მისი ქმედება არ შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნებს. ასეთი ნიშნების არსებობისას აკადემია უზრუნველყოფს მტკიცებულებათა დაცულობას და მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს.
2. შინაგანაწესით განსაზღვრული დარღვევებისათვის თუ ის ჩადენილია პირველად და განსაზღვრულია დისციპლინური სახდელი, სტუდენტს პასუხისმგებლობა დაეკისრება დირექტორის ბრძანებით;
3. განმეორებითი დარღვევის ან დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული სხვა წესების და პირობების დარღვევისათვის, აგრეთვე სხვა სახის დისციპლინური გადაცდომებისათვის, რისთვისაც პასუხისმგებლობის ზომა შინაგანაწესით არაა განსაზღვრული, ან ქმედებისათვის, რომელიც ერთდროულად მოიცავს ორ ან მეტ გადაცდომას, ყველა ინდივიდუალურ შემთხვევასთან მიმართებაში გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური საბჭო.

### **მუხლი 38. პლაგიატი**

1. სხვისი სიტყვების, იდეების, აზრების ან თეორიების ზუსტი ან პარაფრაზირებული ციტირება წყაროს მითითების გარეშე გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
2. სხვის მიერ მოპოვებული ფაქტების, სტატისტიკური ინფორმაციის და სხვა მონაცემების ან მასალების (გამოსახულებების ჩათვლით) გამოყენება წყაროს მითითების გარეშე გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.

### **მუხლი 39. გაყალბება**

1. არასწორი ციტირება ან წყაროს არასწორი მითითება გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
2. ბიბლიოგრაფიაში ისეთი წყაროების მითითება რაც არ ყოფილა გამოყენებული ნაშრომის მომზადებისას გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
3. ნაშრომში გამოგონილი და ფალსიფიცირებული მონაცემების და ინფორმაციის გამოყენება გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
4. ნაშრომის წარდგენა, რომელიც ან რომლის ნაწილით შესრულებულია სხვა პირის მიერ გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.

### **მუხლი 40. გამოცდის წესების დარღვევა**

1. სხვისი ნაშრომის სრული ან ნაწილობრივი გადაწერა გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
2. სხვა სტუდენტისათვის სხვისი ნაშრომის გადაწერის საშუალების მიცემა წინასწარი განზრახვით ან გაუფრთხილებლად გამოიწვევს შენიშვნის გამოცხადებას;
3. ნაშრომის მომზადების/დასრულებისათვის წიგნის, რვეულის, კონსპექტის ან სხვა მასალის უნებართვო გამოყენება გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
4. სხვა სტუდენტის უნებართვო დახმარება გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
5. ელექტრონული საშუალებების უნებართვო გამოყენება ინფორმაციასთან წვდომის ან მისი გაცვლის მიზნით, როგორცაა ტელეფონი, კომპიუტერი და სხვა, გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;

6. სხვის ნაცვლად ნაშრომის ან მისი ნაწილის შესრულება, ან სხვისთვის საკუთარი ნაშრომის შესრულების უფლების მიცემა ან ამ ქმედების მცდელობა გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.

#### **მუხლი 41. აკადემიური წესების დარღვევა**

1. საგამოცდო მასალების უნებართვო მოპოვება, ფლობა, გადამრავლება, გაყიდვა ან სხვა სახით გავრცელება მიუხედავად იმისა, გამოცდა ჩატარდა თუ არა გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;
2. სტუდენტის მიერ მიღებული და ქალაქში ან ელექტრონულ ფაილში დაფიქსირებული შეფასების წაშლა ან გადაკეთება, ამ ქმედებაში სხვისი დახმარება, სხვისთვის შეთავაზება ან იძულება ან ამ ქმედების განხორციელების მცდელობა გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;
3. დავალებაზე მუშაობის გაგრძელება მას შემდეგ, რაც სამუშაო დრო ამოიწურა გამოიწვევს შენიშვნის გამოცხადებას;
4. სხვა პირისათვის ქრთამის შეთავაზება საგამოცდო მასალების/სწორი პასუხების მოპოვების მიზნით გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.

#### **მუხლი 42. ალკოჰოლი**

1. აკადემიის ტერიტორიაზე აკოლოლიანი სასმელის უნებართვო მოხმარება ან გამოყენება გამოიწვევს სტუდენტის გადაყვანას პრობაციის რეჟიმზე;
2. ალკოჰოლიანი სასმელის შემცველი გახსნილი ჭურჭლის შეტანა აკადემიის ტერიტორიაზე ნებართვის გარეშე გამოიწვევს შენიშვნის გამოცხადებას;
3. აკადემიის ტერიტორიაზე გამოცხადება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.

#### **მუხლი 43. თანამონაწილეობა**

სხვა პირის, სტუდენტის ან ჯგუფის მიერ განზრახულ ან განხორციელებულ დარღვევაში თანამონაწილეობა გამოიწვევს შენიშვნის გამოცხადებას.

*შენიშვნა: სტუდენტი, რომელსაც აქვს ინფორმაცია ასეთი დარღვევის განზრახულობის შესახებ, უნდა გაერიდოს სიტუაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეიძლება დაეკისროს ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.*

#### **მუხლი 44. ხელისშემშლელი ქმედება**

1. სხვების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან ქონების ხელყოფა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას;
2. გაუფრთხილებლობით სხვათა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან ქონების ხელყოფა ან ასეთი ხელყოფის საფრთხის შექმნა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას;
3. აკადემიის პერსონალისათვის საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესრულებაში ხელის შეშლა გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
4. სხვისთვის სიტყვის, რელიგიის, მრწამსის, გაერთიანების უფლების შეზღუდვა გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
5. აკადემიის სამსახურეობრივ სამუშაო ადგილებში უნებართვო შეღწევა, ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი კომპიუტერების ჩართვა და მათში მუშაობა, იქ

არსებული ქონების განკარგვა ან ამ ქმედების განხორციელების მცდელობა გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

6. აკადემიის ტერიტორიაზე ჩხუბის, ქაოსური და უმართავი სიტუაციის, სხვა ხელისშემშლელი ქმედებების პროვოცირება, მასში მონაწილეობა ან/და სხვების წაქეზება გამოიწვევს პრობაციის რეჟიმზე გადაყვანას;

7. აკადემიური გარემოსათვის არაადეკვატური, ხელისშემშლელი და ხმამაღალი ხმაურის ან ქმედების გამოწვევა/განხორციელება გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.

#### **მუხლი 45. თამბაქოს მოწევა**

1. დაწესებულების შენობასა და მის საკუთარებაში არსებულ ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია;

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების დამრღვევი პირის მიმართ გატარდება კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

#### **მუხლი 46. ნარკოტიკული და ფსიქოტროპიული ნივთიერებები**

აკადემიის ტერიტორიაზე გამოცხადება ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპიული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, თუ ის არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

*შენიშვნა: ფსიქოტროპიული სამედიცინო დანიშნულების პრეპარატების მიღება, ექიმის დანიშნულების საფუძველზე უნდა მოხდეს სამედიცინო სამსახურში, სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.*

#### **მუხლი 47. განგაშის და უსაფრთხოების წესების დარღვევა**

1. ცეცხლის დანთება ან ხანძრის გამოწვევა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას;

2. ცეცხლსაქრობი მოწყობილობების და განგაშის სიგნალის უმიზეზოდ გამოყენება ან/და დაზიანება იწვევს მატერიალური სახდელის დაკისრებას და საყვედურის გამოცხადებას;

3. განგაშის სიგნალის დროს აკადემიის შენობების არდატოვება, ევაკუაციის პროცედურების და ევაკუაციის ხელმძღვანელის მითითებების უგულვებელყოფა გამოიწვევს შენიშვნის გამოცხადებას.

#### **მუხლი 48. დაუმორჩილებლობა**

1. აკადემიის პერსონალის მოთხოვნათა შეუსრულებლობა გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;

2. აკადემიის მიერ დადგენილი ქცევის წესების უგულვებელყოფა გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.

#### **მუხლი 49. არასწორი ინფორმაცია**

1. აკადემიის პერსონალისათვის არასწორი ინფორმაციის სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით მიწოდება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
2. აკადემიის პერსონალისათვის არასწორი ინფორმაციის სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით მიწოდება დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
3. აკადემიის პერსონალისათვის არასწორი ინფორმაციის სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით მიწოდება სხვა პირის ხასიათის, კვალიფიკაციისა და რეპუტაციის შესახებ გამოიწვევს შენიშვნის გამოცხადებას;
4. ჩარიცხვის წინაპირობებთან, ფინანსურ შეღავათებთან, სოციალურ პროგრამებთან ან სხვა სახის საკითხებზე აკადემიის პერსონალისათვის არასწორი ინფორმაციის სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით მიწოდება, რამაც გავლენა მოახდინა სტუდენტის მიმართ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შინაარსზე გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
5. აკადემიის პერსონალისათვის არასწორი ინფორმაციის სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით მიწოდება, გარდა ზემოთ მოყვანილ პუნქტებში მითითებული ინფორმაციისა, გამოიწვევს შენიშვნის გამოცხადებას;

#### **მუხლი 50. სტუმრები**

ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე სტუმრების შეყვანა საკონტაქტო საათებზე გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.

*შენიშვნა: სტუმრის მიერ განხორციელებულ დარღვევებზე ამ დოკუმენტით დადგენილი პასუხისმგებლობა ეკისრება მასპინძელს.*

#### **მუხლი 51. შეურაცყოფა**

1. სხვათა ჩაყენება ფიზიკურად ან ემოციურად უხერხულ მდგომარეობაში, გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
2. სიტყვიერი შეურაცყოფის მიყენება გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.

#### **მუხლი 52. აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არამიზნობრივი გამოყენება**

1. აკადემიის საკუთრებაში ან მფლობელობაში მყოფი ქონების დაზიანება ან განადგურება გამოიწვევს მატერიალური სახდელის დაკისრებას და საყვედურის გამოცხადებას;
2. აკადემიის არასაჯარო ინფორმაციის მოპოვება, გაცნობა, გამრავლება, გავრცელება გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.
3. აკადემიის საჯარო ინფორმაციის ან დოკუმენტის გაყალბება გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.
4. აკადემიის ტერიტორიის დაზინძურება გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
5. აკადემიის ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობა, რასაც შესაძლოა მოყვეს მისი დაზიანება/განადგურება გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.

**მუხლი 53. კომპიუტერული რესურსების არამიზნობრივი გამოყენება**

1. აკადემიის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობების, პროგრამული უზრუნველყოფის, ელ-ფოსტის, ვებ-გვერდის და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება ნებართვის გარეშე გამოიწვევს შენიშვნის გამოცხადებას;
2. აკადემიის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობების, პროგრამული უზრუნველყოფის, ელ-ფოსტის, ვებ-გვერდის და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება კომერციული მიზნით გამოიწვევს შენიშვნის გამოცხადებას;
3. აკადემიის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობების, პროგრამული უზრუნველყოფის, ელ-ფოსტის, ვებ-გვერდის და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება არამიზნობრივად გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას;
4. აკადემიის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობების, პროგრამული უზრუნველყოფის, ელ-ფოსტის, ვებ-გვერდის და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების დაზიანება გამოიწვევს გამოიწვევს მატერიალური სახდელის დაკისრებას და საყვედურის გამოცხადებას.

**მუხლი 54. საკუთრების ხელყოფა**

1. აკადემიის სტუდენტის, სტუმრის, პერსონალის კუთვნილი ნივთის უნებართვოდ აღება, გამოყენება, მითვისება ან სხვაგვარად განკარგვა გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;
2. აკადემიის კუთვნილი ქონების მითვისება და განკარგვა გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.

**მუხლი 55. იარაღი, ასაფეთქებლები, სახიფათო ნივთიერებები**

1. ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების ან/და მათი იმიტაციის ტარება გამოიწვევს მატერიალური სახდელის დაკისრებას ნივთის ჩამორთმევის სახით და საყვედურის გამოცხადებას;
2. ნამდვილი ან/და სუვენირული ცივი იარაღის, მისი ანალოგის ან იმიტაციის ტარება გამოიწვევს მატერიალური სახდელის დაკისრებას ნივთის ჩამორთმევის სახით და საყვედურის გამოცხადებას;
3. სახიფათო ნივთიერებების შემოტანა აკადემიის ტერიტორიაზე, რომელთა გამოყენებასაც შესაძლოა მოჰყვეს ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება, სიცცხლის მოსპობა ან ქონების დაზიანება გამოიწვევს მატერიალური სახდელის დაკისრებას ნივთის ჩამორთმევის სახით და საყვედურის გამოცხადებას.

**მუხლი 56. ცოცხალი ცხოველები**

1. ცოცხალი ცხოველების უნებართვო შემოყვანა (მ.შ. ფრინველების, მწერების, ამფიბიების, რეპტილიების და სხვა ცოცხალი ორგანიზმების) გამოიწვევს საყვედურის გამოცხადებას.



*შენიშვნა: ცოცხალი ცხოველების შემოყვანა აკადემიის ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის.*

### **მუხლი 57. აკადემიის პრესტიჟი და რეპუტაცია**

აკადემიის, მისი სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ყალბი, მათი პრესტიჟისა და რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელება გამოიწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.

## **თავი 7. სტუდენტთა წახალისება, სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები**

### **მუხლი 58. სტუდენტთა წახალისების სახეები**

1. დაწესებულების სტუდენტთა წახალისება ხდება მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისათვის, სანიმუშო ყოფაქცევისათვის და აქტიურობისათვის, გამორჩეული აკადემიური მოსწრებისათვის, დაწესებულების სახელით სპორტულ, კულტურულ, სამეცნიერო ღონისძიებებში წარმატებების მიღწევისათვის;

2. წახალისების სახეებია:

- ა) პრობაციის რეჟიმის მოხსნა;
- ბ) მადლობის გამოცხადება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) სტიპენდიის დანიშვნა.

3. წახალისება ცხადდება დირექტორის ბრძანებით და შეიტანება სტუდენტის პირად ბარათში.

### **მუხლი 59. სტუდენტის უფლებები**

სტუდენტს უფლება აქვს:

- 1. მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- 2. მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
- 3. დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 4. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე მართვის კოლეგიალურ ორგანოებში დაწესებულების წესდების შესაბამისად;
- 5. თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- 6. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- 7. საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად სახელმწიფოსგან, დაწესებულებისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- 8. აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- 9. მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;

10. პერიოდულად მოახდინოს პერსონალის მუშაობის შეფასება;
11. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო კონტრაქტით და აკადემიის მარეგულირებელი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ მობილობის უფლებით აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესით.

### **მუხლი 60. სტუდენტის ვალდებულებები**

სტუდენტი ვალდებულია დაწესებულების მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის მოდული, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, დაიცვას დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებისა და შინაგანაწესის მოთხოვნები.